

# ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №21

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

30.12. 2020 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგობერიძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე. (დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, კობა ძაგნიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგობე**.

## მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი -**მამუკა ნამიჭიჭიშვილი**.

სხდომა 11<sup>00</sup>-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2020 წლის 30 დეკემბრის ბიუროს სხდომის

## დღის წესრიგი

1.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მამუკა ნამიჭიჭიშვილი

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2020 წლის 30 დეკემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ.“

მომხსენებელმა გააკეთა იმ პროექტები ჩამონათვალი, ღირებულება და სამუშაოების ვადები რომლებიც შესულია 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმაში. გასაკუთრებით გაამახვილა ყურადღება 2021 წლის პროექტებზე და აღნიშნა, რომ 20 პროექტია მოწონებული ღირებულებით 14,222,237 ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან ამ საკითხზე შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

**ალექსანდრე ლილუაშვილი**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე